წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომელიც ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანია დგას გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე, რაც ქვემოთ არის აღწერილი:

კომპანიის დაგროვილი ზარალი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 57,524,671 ლარს და ამავე თარიღისთვის მიმდინარე ვალდებულებები 20,370,689 ლარით (4.9 ჯერ) აღემატება

მიმდინარე აქტივებს (იხილეთ შენიშვნა 27 - ში ლიკვიდურობის ცხრილი), მიმდინარე წლის ბარალმა კი შეადგინა 878,681 ლარი.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

შემასუსტებული ფაქტორები:

მენეჯმენტმა შეიმუშავა მრავალმხრივი გეგმა აღნიშნული სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1 - კომპანიის დამფუძნებელი გამოთქვამს მზადყოფნას კაპიტალში დამატებითი ფულადი შენატანების განხორციელებაზე.

2 - საჭიროების შემთხვევაში დამფუძნებლებისა და სხვა დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სასესხო ვალდებულებების პირობები გადაიხედება, რაც ხელს შეუწყობს საპროცენტო ხარჯის შემცირებასა და სასესხო ვალდებულების ვადის გახანგრძლივებას. აღნიშნულის პრაქტიკა კომპანიას უკვე გააჩნია.

3 - იმ შემთხვევაში, თუ გადაიხედება მგზავრობის ღირებულების გაზრდის საკითხი, კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს ახალი მიკროავტუბუსების დამატებას, რაც თავის მხრივ წარმოშობს დამატებით შემოსავლებს და შეამცირებს მოვლა-შენახვის ხარჯებს.

ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს კომპანიას ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამ შემასუსტებული ფაქტორების გათვალისწინებით მენეჯმენტი დარწმუნებულია, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ფასს მსს - ის პირველადი გამოყენება

2016 წლის 31 დეკემბრამდე კომპანია ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას ადგილობრივი აღრიცხვის პრინციპების მიხედვით, რომელიც ზოგადად მიღებულია საქართველოში და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას, თუმცა არ მოიცავს მნიშვნელოვან სააღრიცხვო პრინციპებსა და ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნებს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ პირველად მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც გამოიყენება 2017 წლის 1 იანვრიდან ან შემდგომ პერიოდებიდან და აღწერილია წინამდებარე ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც არის კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი. 24-ე შენიშვნაში ახსნილია 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძველი აღრიცხვის შესაბამისად მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადაანგარიშებაში გამოყენებული ძირითადი კორექტირებები.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიას სჭერა, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომზადებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური საშუალება. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი საშუალება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(გ) სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც განეული იქნა.

(დ) ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

(ე) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოთხოვნების დარეგულირება ხდება იგივე მიდგომით, როგორც გაცემული სესხების შემთხვევაში.

(ვ) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებული ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) შემოსავალი მიკროავტობუსების გაქირავებიდან

შემოსავლები მიკროავტობუსების გაქირავებიდან წარმოადგენს საოპერაციო იჯარიდან მიღებულ შემოსავლებს, რაც აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

(ბ) შემოსავალი იჯარიდან

იჯარიდან მიღებული შემოსავლები მოიცავს სასაწყობო და კომერციული ფართების გაქირავებით მიღებულ შემოსავლებს, რაც აღიარდება დარიცხვის მეთოდით ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

(გ) საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

(დ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე

შპს „თბილ ლაინი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბერს	2.59	3.10
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბერს	2.65	2.79
საშუალო გაცვლითი კურსი 2017 წლისთვის	2.51	2.83
საშუალო გაცვლითი კურსი 2016 წლისთვის	2.37	2.62

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5-15%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 15%-დან 20%-მდე, ხოლო ოფისის აღჭურვილობაზე 20%-იანი განაკვეთი.

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შენონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა, გაცემული სესხების ანარიცხების განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

4 შემოსავლები

	2017	2016
იჭარის შემოსავალი მიკროავტობუსების გაქირავებიდან	9,331,217	7,896,448
საგზურის შემოსავალი მიკროავტობუსების გაქირავებიდან	4,608,537	4,206,654
სულ შემოსავლები	13,939,754	12,103,102

კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შედგება მენარმე ფიზიკურ პირებზე (მიკროავტობუსის მძღოლებთან) საიტარო ხელშეკრულების საფუძველზე აკუმულირებული შემოსავლებისგან.

შემოსავლების აღნიშნული მუხლი შედგება როგორც „იჭარის“, ასევე „საგზურის“ საფასურიგან, რასაც იურიდიული პირები კომპანიას უხდიან დადგენილი ტარიფების* შესაბამისად.

* მოიჭარესა და მეიჭარეს შორის ხელშეკრულების გაფორმებისას დგინდება შესაბამისი ტარიფები, რაც განსაზღვრავს „იჭარისა“ და „საგზურის“ გადასახდელების ოდენობას. იჭარის თანხები ყოველი ხელშეკრულებისთვის არის ერთი და იგივე, ხოლო საგზურის თანხები განსხვავებულია მარშრუტების მიხედვით.

5 შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2017	2016
ცვეთა და ამორტიზაცია	4,985,370	5,203,843
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	854,792	809,471
მომსახურების ხარჯი	662,030	596,411
იჭარის ხარჯი	349,527	346,932
ნებართვის მოსაკრებელი	281,600	528,000
მოვლა-შენახვის ხარჯები	240,914	169,728
კომუნიკაციის ხარჯი	27,509	20,636
სულ	7,401,742	7,675,021

- მომსახურების ხარჯები მოიცავს პლასტიკური ბარათებით მომსახურების, ჯიპიეს სერვისის და სხვა მომსახურებების ხარჯებს.
- იჭარის ხარჯი დაკავშირებულია საიტარო ფართების ქირავნობასთან, რასაც კომპანია იყენებს მიკროავტობუსების განლაგების უზრუნველსაყოფად.
- ნებართვის მოსაკრებლის გადახდა ხდება თბილისი მერიის მიერ გაცემული ნებართვის ფარგლებში, რასაც კომპანია იხდის ყოველთვიურად.

6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017	2016
ცვეთა და ამორტიზაცია, არაპირდაპირი	194,929	202,792
ადამიანური რესურსებით მომსახურების ხარჯები*	960,000	960,000
უიმედო ვალების რეზერვისა და ჩამოწერის ხარჯი**	-	1,133,437
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	353,221	141,873
კომუნიკაციის ხარჯები	20,778	22,846
დაზღვევის ხარჯები	15,747	14,081
ბანკის მომსახურების ხარჯები	1,429	1,388
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	1,064	1,245
სულ	1,547,168	2,477,662

* კომპანიას არ გააჩნია ადამიანური რესურსების, მარკეტინგის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, აღრიცხვა-ანგარიშგების, იურიდიული განყოფილებები, შესაბამისად აღნიშნული ფუნქციები დელეგირებულია სხვა კომპანიაზე, რისი პირობებიც რეგულირდება გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულ მომსახურებაში კომპანია ყოველთვიურად იხდის ფიქსირებულ გადასახადს.

** 2016 წელს კომპანიამ ჩამოწერა 1,133,437 ლარის ის უიმედო მოთხოვნები, რომლისგანაც მომავალში არ მოელოდა ვეკონომიკური სარგებლის მიღებას.

7 საპროცენტო შემოსავლები

	2017	2016
საპროცენტო შემოსავლები გაცემული სესხებიდან	68,992	16,965
საპროცენტო შემოსავლები ფინანსური იჯარიდან	78,546	354,808
წმინდა	147,538	371,773

8 საპროცენტო ხარჯები

	2017	2016
საპროცენტო ხარჯები მიღებულ სესხებზე	6,699,874	7,162,939
საპროცენტო ხარჯები ფინანსურ იჯარაზე	79,283	347,181
წმინდა	6,779,157	7,510,120

9 კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება/ზარალი(წმინდა)

	2017	2016
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება მიღებულ სესხებზე	1,756,114	23,454
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ზარალი მიღებულ სესხებზე	(85,390)	(4,660,740)
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული მოგება აღებულ ვალდებულებებზე	40,454	825
კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული ზარალი აღებულ ვალდებულებებზე	-	(189,573)
წმინდა	1,711,178	(4,826,034)

10 მოგების გადასახადის ხარჯი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებების გავლენა გადავადებულ მოგების გადასახადზე აღწერილია მე-17 განმარტებით შენიშვნაში.

როგორც 2015, ასევე 2016 წელს კომპანია ფინანსურად არის ბარალზე და შესაბამისად არ გადაუხდია მოგების გადასახადი. 2017 წელს კომპანიამ განახორციელა ისეთი ოპერაციები, რასაც მოგების გადასახადის ახალი რეჟიმის შესაბამისად დაერიცხა გადასახადი. 2017 წელს კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 7,801 ლარი.

11 სხვა ხარჯები

	2017	2016
მომსახურების ხარჯები	49,926	23,466
კონვერტაციის ხარჯები	72,821	25,853
ჯარიმები და საურავები	39,410	30,838
სხვა	44,208	63,369
ჯამი	206,365	143,526

12 სხვა შემოსავლები

	2017	2016
შემოსავალი იჯარიდან	333,340	329,203
შემოსავალი რეკლამიდან	59,958	88,837
სხვა	9,564	17,643
ჯამი	402,862	435,683

შემოსავლები იჯარიდან მოიცავს აკუმულირებულ თანხებს, რასაც კომპანია იღებს მიკროავტობუსების გაქირავებიდან. აღნიშნულ იჯარებს აქვს მოკლევადიანი ხასიათი და ძირითადად მისი დანიშნულება არის საექსკურსიო, სადღესასწაულო და ა.შ)

რეკლამებიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს შემოსავლებს, რასაც მეიჯარე იღებს მიკროავტობუსებზე სარეკლამო პლაკატების განთავსებით.

შპს „თბილ ლაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

13 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	მიკროავტობუსები	სატრანსპორტო საშუალებები	ფინ. იჯარით აღებული აქტივები	სხვა აქტივები	სულ
თვითღირებულება								
1/1/2016	1,548,184	715,130	108,154	34,663,646	21,100	2,968,075	911,606	40,935,895
შეძენა	-	-	34,034	-	-	-	-	34,034
გასვლა/გაყიდვა	-	-	-	-	-	-	-	-
თვითღირებულება								
31/12/2016	1,548,184	715,130	142,188	34,663,646	21,100	2,968,075	911,606	40,969,929
შეძენა	-	-	6,564	1,461,091	-	-	-	1,467,655
გასვლა/გაყიდვა	-	-	-	(2,919,262)	-	(2,774,000)	-	(5,693,262)
თვითღირებულება								
31/12/2017	1,548,184	715,130	148,752	33,205,475	21,100	194,075	911,606	36,744,321
დაგროვილი ცვეთა								
1/1/2016	-	(167,714)	(65,441)	(20,989,838)	(7,724)	(1,592,222)	(444,701)	(23,267,567)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(49,778)	(20,608)	(4,779,253)	(4,220)	(429,590)	(128,186)	(5,406,635)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა								
31/12/2016	-	(217,493)	(85,976)	(25,769,091)	(11,944)	(2,016,812)	(572,886)	(28,674,202)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	-	(49,417)	15,650	(4,863,770)	(4,220)	(121,600)	(125,641)	(5,180,299)
გასვლის შედეგად ელიმინირებული ცვეთა	-	-	-	2,233,721	-	1,978,171	-	4,211,892
დაგროვილი ცვეთა								
31/12/2017	-	(266,910)	(101,626)	(28,399,140)	(16,164)	(160,241)	(698,528)	(29,642,608)

შპს „თბილ ლაინი“

ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ოფისის აღჭურვილობა	მიკროავტობუსები	სატრანსპორტო საშუალებები	ფინ. იჯარით აღებული აქტივები	სხვა აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება 1/1/2016	1,548,184	547,416	42,713	13,673,808	13,376	1,375,853	466,905	17,668,328
საბალანსო ღირებულება 31/12/2016	1,548,184	497,637	56,212	8,894,555	9,156	951,263	338,719	12,295,727
საბალანსო ღირებულება 31/12/2017	1,548,184	448,220	47,126	4,806,334	4,936	33,835	213,078	7,101,713

ფინანსური იჯარით მიღებული აქტივების შესაბამისი ვალდებულებები წარმოდგენილია 21-ე განმარტებით შენიშვნაში.

შპს „თბილ ლაინი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს „საქართველოს ბანკთან“ გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, კომპანიას დაგირავებული ჰქონდა საკუთრებაში არსებული ყველა მიკროავტობუსი წმინდა საბალანსო ღირებულებებით 4,806,334 ლარი, (2016- 8,894,555 ლარი).

2017 წელს კომპანიამ მოახდინა 5,693,262 ლარის თვითღირებულების მქონე (ნარჩენი საბალანსო ღირებულება 255,550 ლარი) მიკროავტობუსების რეალიზაცია, საიდანაც მიიღო 85,197 ლარის ოდენობის ზარალი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხება სრულად ამორტიზებული 6,000 ლარის თვითღირებულების მქონე ოფისის აღჭურვილობა.

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2017	31.12.201	01.01.2016
სავაჭრო მოთხოვნები*	2,882,158	2,355,319	1,112,858
მოთხოვნები მიკროავტობუსების მძღოლების მიმართ	776,400	563,175	978,235
სხვა მოთხოვნები	8,450	8,601	7,849
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	-	-	(12,050)
სულ	3,667,008	2,927,095	2,086,892

*სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს საოპერაციო იჯარისგან დარიცხულ მოთხოვნებს, სარეკლამო მომსახურების გაწევისა და სხვა მოთხოვნებს.

გაუფასურებული მოთხოვნების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	3,667,008	-	-	-	-	-	3,667,008
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
სულ მოთხოვნები 31.12.2017	-	-	-	-	-	-	3,667,008

გაუფასურებული მოთხოვნების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	2,927,095	-	-	-	-	-	2,927,095
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
სულ მოთხოვნები 31.12.2016	-	-	-	-	-	-	2,927,095

შპს „თბილ ლაინი“
ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გაუფასურებული მოთხოვნების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები	2,086,892	-	-	-	-	12,050	2,098,942
გაუფასურება	-	-	-	-	-	(12,050)	(12,050)
სულ მოთხოვნები 1.1.2016	-	-	-	-	-	-	2,086,892

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენილად:

01.01.2016	12,050
დარიცხვა წლის განმავლობაში	-
შემცირება წლის განმავლობაში	(12,050)
31.12.2016	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	-
შემცირება წლის განმავლობაში	-
31.12.2017	-

2016 წლის განმავლობაში დარეზერვების გარეშე ხარჯებში ჩამოიწერა 1,133,437 ლარი უიმედო დებიტორული დავალიანება, რაც ასახულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N6 - ში.

15 მოთხოვნები ფინანსური ლიზინგიდან

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ერთი წლის განმავლობაში	1,252,320	2,047,497	2,030,114
ორიდან ხუთ წლამდე პერიოდში	-	604,980	1,125,098
ხუთი წლის შემდეგ	-	-	-
სულ	1,252,320	2,652,477	3,155,212
	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
მინიმალური მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	1,252,320	2,047,497	2,030,114
გამოკლებული - გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
	1,252,320	2,047,497	2,030,114
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	-	-	-
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან, წმინდა	1,252,320	2,047,497	2,030,114

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ლიზინგის მიმღებზე აქტივის მფლობელობა კონტრაქტის ვადის ამოწურვისას გადადის, ხოლო აქტივის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი კონტრაქტის დადებისთანავე.

ფინანსური იჯარების ხელშეკრულებების თანახმად, კომპანია იღებს გრაფიკით განსაზღვრულ თანხას, რაშიც შედის როგორც დარიცხული პროცენტი, ასევე მოთხოვნის ძირი. ფინანსური იჯარიდან მიღებული შემოსავლები იხილეთ შენიშვნა N7-ში.

16 მარაგები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
საწვავი და საპოხი მასალები	3,895	2,109	3,501
მცირეფასიანი ტანსაცმელი	3,254	3,000	2,895
სათადარიგო ნაწილები	1,869	1,869	-
სხვა მარაგები	1,461	1,130	176
სულ	10,479	8,108	6,572

17 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ფული სალაროში	5,115	7,518	3,567
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	278,787	266,591	563,388
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	248	-	-
სულ	284,150	274,109	566,955

18 გაცემული სესხები

	31.12.2017	31.12.201	01.01.2016
მისაღები სესხის ძირი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	4,500	7,220	4,920
მისაღები სესხის ძირი იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან	1,069,321	221,810	62,088
სულ მისაღები სესხის ძირი	1,073,821	229,030	67,008
მისაღები პროცენტები ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	3,022	2,057	963
მისაღები პროცენტები იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან	96,090	28,209	12,413
სულ მისაღები სესხის პროცენტი	99,112	30,266	13,376
მოთხოვნა გაცემული სესხებიდან გაუფასურებამდე	1,172,933	259,296	80,384
გაუფასურებული სესხების ანარიცხი	(1,171,437)	(118,854)	(64,311)
მოთხოვნა გაცემული სესხებიდან გაუფასურების შემდეგ	1,496	140,442	16,073

2014-2015 წლებში კომპანიამ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასცა სესხები, რომელთა საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა წლიური 20%-ით.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული სესხების მნიშვნელოვან ნაწილზე არ არის გადახდილი როგორც დარიცხული პროცენტი, ასევე სესხის ძირი. შესაბამისად, აღნიშნული სესხები გაუფასურებულია.

გაუფასურებული სესხების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
გაცემული სესხები	1,496	-	-	-	-	1,171,437	1,172,933
გაუფასურება	-	-	-	-	-	(1,171,437)	(1,171,437)
სულ გაცემული სესხები 31.12.2017	1,496	-	-	-	-	-	1,496

გაუფასურებული სესხების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
გაცემული სესხები	136,319	-	-	4,682	1,124	117,172	259,297
გაუფასურება	-	-	-	(1,171)	(612)	(117,172)	(118,955)
სულ გაცემული სესხები 31.12.2016	136,319	-	-	3,511	612	-	140,442

შპს „თბილ ლაინი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გაუფასურებული სესხების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	181-360	>360	სულ
ვადაგადაცილების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%	-
გაცემული სესხები	16,073	-	-	-	-	64,311	80,384
გაუფასურება	-	-	-	-	-	(64,311)	(64,311)
სულ გაცემული სესხები							
1.1.2016	16,073	-	-	-	-	-	16,073

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენიერად:

01.01.2016	64,311
დარიცხვა წლის განმავლობაში	54,543
შემცირება წლის განმავლობაში	-
31.12.2016	118,854
დარიცხვა წლის განმავლობაში	1,052,583
შემცირება წლის განმავლობაში	-
31.12.2017	1,171,437

19 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
სავაჭრო ვალდებულებები	4,081,626	4,250,429	3,525,738
ვალდებულებები მიკროავტობუსების მძღოლების მიმართ*	716,793	429,033	49,627
სხვა ვალდებულებები	88,349	88,581	88,250
სულ	4,886,768	4,768,043	3,663,615

სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი შედგება საოპერაციო იჯარების დავალიანებებისგან, სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გადაუხდელი თანხებისგან, დაზღვევის და სხვა გადასახდელებისგან.

*ვალდებულებები მიკროავტობუსების მძღოლების მიმართ მოიცავს კომპანიის გადასახდელებს, რომლებიც აკუმულირდება მიკროავტობუსების მგზავრების მიერ პლასტიკური ბარათებით გადახდების შედეგად აღნიშნული თანხები თავს იყრის მიკროავტობუსების მძღოლების შესაბამის ანგარიშებზე, რაც არის მათი მოთხოვნა შპს „თბილ ლაინის“ მიმართ“.

20 მიღებული სესხები

კომპანიის მიერ აღებული სესხების ჩაშლა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ბანკებისაგან მიღებული გრძელვადიანი სესხები	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა
სს „თიბისი ბანკი“ #1	30-06-2015	30-06-2022	8-12%	USD	7,740,622
სს „თიბისი ბანკი“ #2	05-08-2015	30-06-2022	13-15%	GEL	3,139,819
სს „საქართველოს ბანკი“ #1	15-09-2017	22-06-2022	11%	GEL	10,662,647
სს „საქართველოს ბანკი“ #2	15-09-2017	30-06-2022	11%	GEL	4,875,447
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე					8,868,663
გრძელვადიანი სესხების არამიმდინარე					17,549,872
სულ ძირი					26,202,952
გადასახდელი პროცენტი					215,583
სულ საბანკო სესხები					26,418,535

არასაბანკო დაწესებულებებისგან მიღებული სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა
ფიზიკური პირებისაგან მიღებული სესხები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			11,768,857
გრძელვადიანი სესხების არამიმდინარე ნაწილი			26,479,492
სულ ძირი			26,479,492
გადასახდელი პროცენტი			11,768,857
სულ არასაბანკო სესხები			38,248,349
სულ სესხები			64,666,884

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ბანკებისაგან მიღებული გრძელვადიანი სესხები	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა
სს „თიბისი ბანკი“ #1	30-06-2015	30-06-2022	8-12%	USD	22,509,158
სს „თიბისი ბანკი“ #2	05-08-2015	30-06-2022	13-15%	GEL	9,201,505
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე					6,614,872
გრძელვადიანი სესხების არამიმდინარე					25,095,791
სულ ძირი					31,469,248
გადასახდელი პროცენტი					241,415
სულ საბანკო სესხები					31,710,663

არასაბანკო დაწესებულებებისგან მიღებული სესხები	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა
ფიზიკური პირებისაგან მიღებული სესხები			
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			9,483,730
გრძელვადიანი სესხების არამიმდინარე ნაწილი			27,099,427
სულ ძირი			27,099,427
გადასახდელი პროცენტი			9,483,730
სულ არასაბანკო სესხები			36,583,157
სულ სესხები			68,293,820

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ბანკებისაგან მიღებული გრძელვადიანი სესხები	აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა
სს „თიბისი ბანკი“ #1	30-06-2015	30-06-2022	8-12%	USD	23,114,060
სს „თიბისი ბანკი“ #2	05-08-2015	30-06-2022	13-15%	GEL	10,278,220
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე					2,358,797
გრძელვადიანი სესხების არამიმდინარე					31,033,483
სულ ძირი					33,110,138
გადასახდელი პროცენტი					282,142
სულ საბანკო სესხები					33,392,280

არასაბანკო დაწესებულებებისგან მიღებული სესხები	საპროცენტო		თანხა
	განაკვეთი	ვალუტა	
ფიზიკური პირებისაგან მიღებული სესხები	9-20%	GEL,USD	31,019,148
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი			6,171,194
გრძელვადიანი სესხების არამიმდინარე ნაწილი			24,847,954
სულ ძირი			24,847,954
გადასახდელი პროცენტი			6,171,194
სულ არასაბანკო სესხები			31,019,148
სულ სესხები			64,411,428

სს „თიბისი ბანკის“ სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საბაზისო განაკვეთს დამატებული 7.5%-ით, მაგრამ არანაკლებ 13%-სა.

2017 წელს სს „საქართველოს ბანკისგან“ აღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საბაზისო განაკვეთს დამატებული 4%, მაგრამ არანაკლებ 11%-სა.

ბანკებისაგან მიღებული სესხების ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს შორის არ არის არსებითი სხვაობა.

აღებული სესხების პროცენტი და ძირი იფარება ყოველთვიურად. საპროცენტო ხარჯი იხილეთ შენიშვნა N8-ში.

2013-2015 წელს კომპანიამ საკუთარი ფუნქციონირების უკეთ განხორციელების მიზნით იურიდიული და ფიზიკური პირებისან მოიზიდა საკრედიტო სახსრები. აღნიშნულ კონტრაგენტებთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების თანახმად სესხის პროცენტიც და ძირიც დაიფარება ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. კომპანიას ფიზიკური პირებისგან სესხები მიღებული აქვს 2015 წელს და დაფარვის ვადა ხელშეკრულებების მიხედვით განსაზღვრულია 2022 წლის 15 დეკემბერი.

საბანკო დაწესებულებებისგან აღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით(იხ.ძირითადი საშუალებების განმარტებითი შენიშვნა N 13).

21 ფინანსური ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდებში ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგ ნაშთებს:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
მინიმალური სალიზინგო გადასახადი	67,922	1,861,625	2,660,803
გადახდილი აკანსი	-	-	-
სულ სალიზინგო კონტრაქტის თანხა	67,922	1,861,625	2,660,803
მომავალში გადასახდელი პროცენტი	(8,597)	(381,815)	(728,997)
დარჩენილი ღირებულება	-	-	-
სულ ფინანსური იჯარის ვალდებულებები	59,325	1,479,810	1,931,806

მინიმალური სალიზინგო გადასახადი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ერთი წლის განმავლობაში	51,376	799,178	799,178
ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდში	16,547	1,062,447	1,861,625
ხუთი წლის შემდეგ	-	-	-
შემცირება: მომავალში გადასახდელი პროცენტი	(8,597)	(381,815)	(728,997)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დღევანდელი ღირებულება	59,325	1,479,810	1,931,806

ფინანსური იჯარის ვალდებულებების დღევანდელი ღირებულება შესაძლებელია გაანალიზდეს ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
ერთი წლის განმავლობაში	51,376	799,178	799,178
ერთ წლის შემდგომ პერიოდებში:			
ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდში	7,949	680,632	1,132,628
ხუთი წლის შემდეგ	-	-	-
სულ	59,325	1,479,810	1,931,806

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ლიზინგის მიმღებზე აქტივის მფლობელობა კონტრაქტის ვადის ამოწურვისას გადადის, ხოლო აქტივის მოხმარებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი კონტრაქტის დადებისთანავე.

ფინანსური იჯარების ხელშეკრულებების თანახმად, კომპანია იხდის გრაფიკით განსაზღვრულ თანხას, რაშიც შედის როგორც დარიცხული პროცენტი, ასევე ვალდებულების ძირი. ფინანსურ იჯარაზე გაწეული საპროცენტო ხარჯი იხილეთ შენიშვნა N8-ში.

22 საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2016	01.01.2016
საგადასახადო აქტივი			
საშემოსავლო გადასახადი	3,489	26,701	3,317
ქონების გადასახადი	204,218	160,689	112,445
სულ საგადასახადო აქტივები	207,707	187,390	115,762
საგადასახადო ვალდებულებები			
მოგების გადასახადი	4,243	58	-
გადასახდელი დღგ	432,224	589,507	478,487
სულ საგადასახადო ვალდებულებები	436,467	589,565	478,487
წმინდა საგადასახადო ვალდებულება	228,760	402,175	362,725

23 გადავადებული გადასახადი

მე-10 განმარტებით შენიშვნაში აღწერილ საგადასახადო სისტემის ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებს/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

გამომდინარე იქედან, რომ კომპანია არის „მსს ფასს“-ის პირველადი გამომყენებელი მენეჯმენტის გადაწყვეტილებით მოხდა „მსს ფასს“-ის პირველადი გამოყენების თანახმად გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენება, რომელიც კომპანიებს საშუალებას აძლევს „მსს ფასს“ - ის პირველადი გამოქვეყნების თარიღისთვის გამოყენებული სააღიჯვო პოლიტიკა გადავადებულ გადასახადთან დაკავშირებით გამოიყენოს რეტროსპექტულად საწყის ნაშთებზეც. იმის გამო, რომ ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით მომზადდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია იყენებს ზემოთ აღნიშნული განსაზღვრულ მიდგომას და არ აღიარებს გადავადებულ გადასახადს საწყის ნაშთებზეც.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილების დროს არ აღიარდება კომპანიის ბალანსზე.

24 პირობითი ვალდებულებები

საბანკო გარანტიები

სატენდერო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ აღებული საბანკო გარანტიების ჯამური თანხა შეადგენდა 1,741,872 ლარს.

საბანკო გარანტიები მიღებულია 2017 წლის 5 მაისს სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე და უზრუნველყოფილია მე-12 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი ძირითადი საშუალებებით.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები

	2017	2016
1 წლის განმავლობაში	341,465	281,465
1 წლიდან 5 წლამდე პერიოდში	240,000	281,465
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები	581,465	562,920

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „თბილ ლაინს“ ჰქონდა იჯარის ხელშეკრულებები შემდეგ ფართებზე:

- 18,187 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ქერჩის ქ.N1, თბილისი.იჯარის ხელშეკრულების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 8,750 აშშ დოლარს.იჯარის ხელშეკრულების ამონურვის თარიღია 19.01.2019
- 5,000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი კაიროს ქ.N81, თბილისი.იჯარის ხელშეკრულების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 5,000 ლარს.იჯარის ხელშეკრულების ამონურვის თარიღია 19.01.2019
- 1,000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ბალანჩინის ქ.N81, თბილისი.იჯარის ხელშეკრულების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 2,500 ლარს.იჯარის ხელშეკრულების ამონურვის თარიღია 19.01.2019

25 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო პერიოდებში კომპანიას არ ჰქონია ტრანზაქციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.

კომპანიის მენეჯმენტის ანაზღაურების ხარჯი გაიწევა იმ კომპანიაზე გადახდილი თანხებიდან, რომელიც შპს „თბილ ლაინს“ უწევს მენეჯერულ მომსახურებას(იხ. ადმინისტრაციული ხარჯების განმარტებითი შენიშვნა).

2017 წელს კომპანიის დირექტორის ანაზღაურებამ შეადგინა 51,813 ლარი (2016 – 56,513)

26 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მისი პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად.

ფასს მსს-ზე გადასვლისას არ განხორციელებულა არსებითი კორექტირებები 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

27 ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსური რისკებს:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ დამკვეთი მთლიანად არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს საფასურს ან ნაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისათვის ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას.

კომპანიის მენეჯმენტი საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით ახერხებს რისკების მართვას. კომპანიის ოპერაციების სიმარტივიდან გამომდინარე არ არსებობს რისკების მართვისათვის წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აერთიანებს კატეგორიების მიხედვით ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს:

ფინანსური აქტივები	31.12.2017	31.12.2016
ფული და ფულის ექვივალენტები	284,150	274,109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,667,008	2,927,095
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	1,252,320	2,652,477
გაცემული სესხები	1,496	140,442
სულ	5,204,974	5,994,123

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2017	31.12.2016
<i>აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით:</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,886,768	4,768,043
მიღებული სესხები	64,666,884	68,293,820
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	59,325	1,479,810
სულ	69,612,997	74,541,673
წმინდა ეფექტი	(64,408,023)	(68,547,550)

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც არის რისკი იმისა რომ მეოფრე მხარე ვერ დაფარავს მთლიან თანხას, როცა დადგება გადახდის დრო. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება, ზოგადად აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

მაქსიმალური რისკი რომლის წინაშეც შეიძლება იყოს კომპანია შეჭამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ფინანსური აქტივები	31.12.2017	31.12.2016
ფული და ფულის ექვივალენტები	279,035	266,591
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,667,008	2,927,095
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	1,252,320	2,652,477
გაცემული სესხები	1,496	140,442
სულ	5,199,859	5,986,605

კომპანიის არც ერთი მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

შემდეგი ცხრილები აანალიზებს ფინანსურ ვალდებულებებს დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელამდე	1 - 3 წელამდე	3 - 5 წელამდე	5 წელზე მეტი	ჯამი
ფული და ფულის ექვივალენტები	284,150	-	-	-	284,150
გაცემული სესხები	1,496	-	-	-	1,496
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	1,252,320	-	-	-	1,252,320
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,667,008	-	-	-	3,667,008
სულ აქტივები	5,204,974	-	-	-	5,204,974
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,886,768	-	-	-	4,886,768
მიღებული სესხები	20,637,520	44,029,364	-	-	64,666,884
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	51,376	7,949	-	-	59,325
სულ ვალდებულებები	25,575,664	44,037,313	-	-	69,612,977
წმინდა	(20,370,689)	(44,037,313)	-	-	(64,408,002)

შპს „თბილ ლაინი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წელზე ნაკლები	1 - 3 წლამდე	3 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	ჯამი
ფული და ფულის					
ექვივალენტები	274,109	-	-	-	274,109
გაცემული სესხები	140,442	-	-	-	140,442
მოთხოვნები ფინანსური					
იჯარიდან	2,047,497	604,980	-	-	2,652,477
სავაჭრო და სხვა					
მოთხოვნები	2,927,095	-	-	-	2,927,095
სულ აქტივები	5,389,143	604,980	-	-	5,994,123
სავაჭრო და სხვა					
ვალდებულებები	4,768,043	-	-	-	4,768,043
მიღებული სესხები	16,098,602	52,195,219	-	-	68,293,821
ვალდებულებები ფინანსურ					
იჯარაზე	799,178	680,632	-	-	1,479,810
სულ ვალდებულებები	21,665,823	52,875,851	-	-	74,541,674
წმინდა	(16,276,679)	(52,270,871)	-	-	(68,547,550)

იმისათვის რომ, კომპანიამ დაფაროს ყველა ვალდებულება სახელშეკრულებო ვადის შესაბამისად,კომპანიის მენეჯმენტს შემუშავებული აქვს სახსრების მოზიდვის შემდეგი გეგმა (იხ. მე-2 განმარტებითი შენიშვნა).

სავალუტო რისკი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ექვემდებარება შემდეგ სავალუტო რისკებს:

	ლარი	დოლარი	ევრო	ჯამური
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	284,150	-	-	284,150
გაცემული სესხები	1,496	-	-	1,496
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	252,320	-	-	1,252,320
ჯამი:	1,537,966			1,537,966
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	24,897,683	38,825,329	943,872	64,666,884
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	59,325	-	-	59,325
ჯამი:	24,957,008	38,825,329	943,872	64,726,209

შპს „თბილ ლაინი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

წმინდა	(23,419,042)	(38,825,329)	(943,872)	(63,188,243)
---------------	---------------------	---------------------	------------------	---------------------

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ექვემდებარება შემდეგ სავალუტო რისკებს:

	ლარი	დოლარი	ევრო	ჯამური
თინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	274,109	-	-	274,109
გაყიდვითი სესხები	140,442	-	-	140,442
მოთხოვნები თინანსური იჯარითა	2,652,477	-	-	2,652,477
ჯამი:	3,067,028	-	-	3,067,028
თინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	15,066,363	52,462,818	764,640	68,293,821
ვალდებულებები თინანსურ იჯარაზე	1,479,810	-	-	1,479,810
ჯამი:	16,546,173	52,462,818	764,640	69,773,631
წმინდა	(13,479,145)	(52,462,818)	(764,640)	(66,706,603)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მისოს მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	-	(38,825,329)	(38,825,329)
ევრო	-	(943,872)	(943,872)
სულ	-	(39,769,201)	(39,769,201)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
აშშ დოლარი	-	(52,462,818)	(52,462,818)
ევრო	-	(764,640)	(764,640)
სულ	-	(53,227,458)	(53,227,458)

შპს „თბილ ლაინი“
ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებებისა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გავლენა მოგება- ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(3,300,153)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	3,300,153
ევროს 10%-ით გამყარება	(1,485,387)
ევროს 10%-ით გაუფასურება	1,485,387

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	გავლენა მოგება- ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(4,459,339)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	4,459,339
ევროს 10%-ით გამყარება	(1,242,355)
ევროს 10%-ით გაუფასურება	1,242,355

28 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2017 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღამდე აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.